



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/239

25 / თებერვალი / 2019 წ.



KA000069604829019

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით

„ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის გაცემისთვის კონკურსის ჩატარებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 28 მაისის N13/15 დადგენილების, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით კონკურსის გამოცხადებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 05 იანვრის N04/11 ბრძანების და საკონკურსო კომისიის 2019 წლის 20 თებერვლის №3 ოქმის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის 2019 წლის 20 თებერვლის N3 ოქმის თანახმად, კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს 52 ინდ/მენარმე (ავტოსატრანსპორტო საშუალების სახეობა M2 კატეგორია), კონკურსში გამარჯვებულებზე ქალაქ ფოთში, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცეს დანართი № 1-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.
2. დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის კონკურსის წესით გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიას და მუშა ჯგუფს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გაატაროს მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილი ღონისძიებები.
3. ბრძანება გამოიკრას საჯაროდ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში.
4. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე <http://www.poti.gov.ge>.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამმოდანსულია
ელექტრონულად

გოჩა კურდღელია